ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №581965

ნომერი: AR1113488

თარიღი : 04.03.2013

გაცემის თარიღი : 18.03.2013

გაცნობის თარიღი : 18.03.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან; ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 04 მარტს #AR1113488 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ბავშვთა სპორტულ–გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური“–ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით: #01.14.14.005.155 და #01.14.14.005.160–ზე მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული

ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2), სადაც ზონით დაშვებული მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის ასაშენებლად საჭიროა სპეციალური „ზონალური“ შეთანხმება, ამასთან საქართველოს პრეზიდენტის #435 21.06.2010 ბრძანებულების თანახმად წარმოდგენილ ტერიტორიას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი.

სამსახურმა ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენის საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განსახილველად, «ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე. “ზონალური კომისიის” 2013 წლის 06 მარტის სხდომის ოქმი #9, პუნქტი 17-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ქეთევან ფანცულაიას ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ბავშვთა სპორტულ–გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური“–ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით #01.14.14.005.155 და #01.14.14.005.160–ზე მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.